91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №7 (7106) 2 აპრილი 2024 წელი

დიდ სახალხო დღესასწაულში გარდასახული ისტორიული გამარჯვება...

გილოცავთ!

26 მარტი უპირობოდ შევა ქართული ფეხბურთის ისტორიაში როგორც უმნიშვნელოვანესი დღე, როცა საბერძნეთის საფეხბურთო ნაკრებზე ქართველების გამარჯვებით პირველად გავედით ევროპული საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

ყოფილ ჩემპიონთან ეს თამაში უმძიმესი გამოდგა, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს წარმატების მისაღწევად.

გამარჯვებისათვის გაამართლა მწვრთნელთა შტაბის გათვლებმა...

მართალია, საქმე მაინც მივიდა დამატებით ტაიმებამდე და შემდეგ პენალტებამდე, მაგრამ აქაც ვიმარჯვეთ, ჩვენი გოლეადორების და მეკარე მამარდაშვილის წყალობით...

ცალკე აღნიშვნის ღირსია, ქართველი ქომაგების გულმხურვალე, შესანიშნავად ორგანიზებული აქტივობა, რომელიც თამაშამდე დაიწყო და მთელი საფეხბურთო მატჩის განმავლობაში არ შეწყვეტილა შეძახებების, სიმღერებისა და საყვირ-დაფდაფების ფონზე...

ფეხბურთელებისვე განცხადებით, მათ მსოფლიოს ბევრ სტადიონზე უასპარეზიათ, მაგრამ ასეთი ქომაგობა არსად უნახავთ... „აღტაცებული ვართ!“—ამბობენ ისინი...

სწორედ ამ ბიჭებმა, რომლებმაც ასე გაგვახარეს, ჩათვალეს თავი ვალდებულად, რომ თამაშის შემდეგ ქვეყნის მთავარ მოედანზე, გულშემატკივრებისათვის პირადად ეთქვათ განსაკუთრებული მადლობა...

ზეიმობდა და ზეიმობს სრულიად საქართველო, მისი ქალაქ-სოფლები და ხალხი.

ჩვენო ბიჭებო, წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

„თერჯოლა“ და თერჯოლელები

9 აპრილი—ჩვენი გოლგოთა და ამაღლება...

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებიდან 35 წელი გავიდა. ეს დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გმირული და ტრაგიკული დღეა. 9 აპრილს ქართული საზოგადოება საქართველოს დამოუკიდებლობას და საბჭოთა იმპერიის რეჟიმიდან გათავისუფლებას ითხოვდა.

1989 წლის 9 აპრილი დიდი ტრაგედიისა და ამავდროულად დიდი გამარჯვების დღეა. ამ დღეს საზოგადოებრივი ერთიანობის შეგრძნება ყველაზე მეტად იგრძნობოდა, როდესაც ათასობით ადამიანი საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას მოითხოვდა, თუმცა საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, თავისუფლების მოთხოვნით შეკრებილი ადამიანები სასტიკად დაარბიეს და დილის 4 საათზე, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა არმიის მძიმე ტექნიკა, შემდეგ კი ძერჟინსკის დივიზიის, დესანტისა და შინაგანი ჯარის სპეცრაზმელები გამოჩნდნენ, რასაც უდანაშაულო და თავისუფლებისთვის მებრძოლი 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 4 ათასზე მეტი დემონსტრანტი კი სხვადასხვა სახის ტრამვით, უამრავი მომიტინგე კი გაურკვეველი ქიმიური ნივთიერები მოწამლული საავადმყოფოებში მოათავსეს.

სამარადისო ნათელი 9 აპრილს დაღუპულ გმირებს!

ადამია აზა, 22 წლის; ბაშალეიშვილი ეკა, 16 წლის; ბეჟანიშვილი ეკა, 16 წლის; გიორგაძე ნატო, 23 წლის; დოლიძე თამუნა, 28 წლის; ენუქიძე თინა, 70 წლის; თოიძე ნინო, 25 წლის; კიკვიძე ზაირა, 61 წლის; ლოლაძე მანანა, 33 წლის; მამულიშვილი თამარი, 50 წლის; მეტრეველი ვენერა; ნოზაძე მამუკა, 22 წლის; სამარგულიანი ნანა, 41 წლის; ქვასროლიაშვილი შალვა; ჭყონია-სამარგულიანი მარინა, 31 წლის; ჭიპაშვილი ელისო, 25 წლის; ჭოველიძე თამარი, 16 წლის; ჯანგირაშვილი ნოდარი, 40 წლის; ჯინჭარაძე მზია, 43 წლის; მელქაძე მანანა 23 წლის; ქარსელაძე გია, 25 წლის.

☞4

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2,3

დიდი მადლობა მოლოცვისათვის

21 მარტი—ქართული ჟურნალისტიკის დღე ბევრმა ჩვენმა კოლეგამ და მეგობარმა მოგვილოცა...

მადლობა თითოეულ თქვენგანს...

ვეცდებით, რომ „თერჯოლა“ ყოველთვის იყოს თქვენი საქმიანი და საინტერესო მაცნე-მახარობელი...

5 მაისი—ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

7 აპრილი, ხარება



სააღდგომო მარხვის კვირეულები

☞6

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ახალი საბავშვო ბაღი ძევრში

სოფელ ძევრში ახალი საბავშვო ბაღი შენდება, რომლის მშენებლობის პროცესს ადგილზე გაეცნო მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან ერთად. მათ ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები.



სოფლისთვის უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი მგფ-ის დაფინანსებით ხორციელდება. ახალი საბავშვო ბაღი 50 აღსაზრდელზეა გათვლილი.

ამ დროისათვის უკვე აშენებულია სკოლამდელი დაწესებულების ძირითადი ნაწილი, ამოყვანილია რამდენიმე ოთახი, მოეწყო სარტყელი.

პროექტის მიხედვით, საბავშვო ბაღი ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის, დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა, დაწესებულება აღიჭურვება თანამედროვე, ხარისხიანი ინვენტარით, კეთილმოეწყობა შიდა და გარე სივრცე.

სამშენებლო სამუშაოებზე პასუხისმგებელია ტენდერში გამარჯვებული შპს „იმერეთმშენი-2000 “, რომლის სამუშაოთა მწარმოებლის, მამია კუხიანიძის თქმით, დასრულებული პროექტი აგვისტოს ბოლოს უნდა ჩაბარდეს.

„ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სოფლისთვის, არამედ მთლიანად მუნიციპალიტეტისთვის. ეს ახალი ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვებმა განათლება მიიღონ საკუთარ სოფელში, საერათაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ გარემოში“—აღნიშნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ.

ძევრის მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

პროექტის ფარგლებში, მოხდება სატუმბი სადგურის, მიმწოდებელი ქსელის და საათავე რეზერვუარების მოწყობა.

პირველი ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,უნივერსალ ჯორჯია'' ანხორციელებს, რომლის დასრულების შემდეგ უწყვეტი წყალმომარაგება ექნება კალატოზები-ვერულაშვილების უბნის 80 ოჯახს.

სამუშაოები აპრილის ბოლოს დასრულდება. წყალმომარაგების ქსელის მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესი ეს პროექტი რგფ-იდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით შესრულდება და მისი ჯამური ღირებულება 171 999 ლარს შეადგენს.

საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია სოფელ ეწერში

ამ დღეებში, სოფელში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები პირადად დაათვალიერა მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად.

პროექტის ფარგლებში, რეაბილიტაცია უტარდება შენობის მარცხენა ფლიგელს, რომელიც ამ დრომდე გაუქმებული იყო.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, შენობის ამ ნაწილში 2-3 წლიანთა ჯგუფი განთავსდება და ეს სკოლამდელი დაწესებულება ორჯგუფიანი გახდება, რაც სოფელ ეწერში მაცხოვრებლებს საშუალებას მისცემს ბაღის ასაკობრივი ჯგუფის მომსახურეობის სერვისით ისარგებლონ.

საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „იდეალმშენი“ აწარმოებს, როგორც საქმეთა მწარმოებლები აცხადებენ, სარეაბილიტაციო სამუშაოები აპრილის ბოლოს დასრულდება.

ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა თანმხლებ საჯარო მოხელეებთან ერთად, დაათვალიერეს ეწრის სკოლამდელი დაწესებულების ძირითადი შენობაც, შეხვდნენ ბავშვებს, გაეცვნენ ბაღში არსებულ პირობებს და სამომავლოდაც დაჰპირდნენ მხარდაჭერას.

საპარლამენტო არჩევნები—2024 მორიგი საინფორმაციო შეხვედრა...

საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება. თერჯოლის საარჩევნო ოლქის ადმინისტრაციამ (თავმჯდომარე **ნაზი სირაძე**) კარგა ხანია დაიწყო საინფორმაციო შეხვედრები

ამომრჩევლებთან. შეხვედრები მოეწყო მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში, მათ დაქვემდებარებაში მყოფ ყველა ორგანიზაციაში, კერძო სტრუქტურებში.

საარჩევნო ადმინისტრაციაში მიაჩნიათ, რომ თითოეული ამომრჩევლის ინფორმირება მნიშვნელოვანია. დიდია ამომრჩეველთა ინტერესიც. ამჯერად ყველა შეხვედრა ამომრჩეველთა სიმრავლით გამოირჩეოდა. საოლქო-საარჩევნო კომისიაში საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო სოფლის განვითარების სააგენტოს თერჯოლის რეგონალური საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებთან და სხვა ორგანიზაციებთან.

შეხვედრაზე დაისვა მრავალი შეკითხვა, რომლებზედაც საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამომწურავი პასუხი გასცა.

კვლავ საგზაო პროექტებზე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავენ მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების თემას. აღნიშნულის უპირველესი დასტურია ის სისტემატური მონიტორინგი, რომელიც პირადად მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის და საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ბარათაშვილის უშუალო ჩართულობით ხორციელდება მიმდინარე პროექტების შესრულებაზე.

ეს კონტროლი დაწესებულია, როგორც ადგილებზე, სარეაბილიტაციო ობიექტებზე უშუალო გასვლით და სამუშაოთა მწარმოებლებთან საკითხების დაწვრილებით განხილვით, ისე მუნიციპალიტეტის კონკრეტული სამსახურების და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან შეხვედრა-თათბირის ჩატარებით.

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში მორიგი ასეთი სამუშაო თათბირი გაიმართა. თათბირს მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე ხელმძღვანელობდა, მოადგილეებთან ზვიად ბაზაძესა და მირზა ქოჩიაშვილთან ერთად. მათ მერიის სამსახურების და განყოფილებების უფროსებისაგან მოისმინეს დეტალური ინფორმაცია მერიის სტრუქტურებში არსებული მდგომარეობის შესახებ და გასცეს კონკრეტული დავალებები და მითითებები.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა გააჟღერა საკითხი, რომელიც ითვალისწინებს შიდა სასოფლო გზების აღდგენითი სამუშაოების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მთის ქანით სარგებლობის ნებართვის მოპოვებას, რაც უდავოა, რომ პირდაპირ შეუწყობს ხელს შიდა სასოფლო-გზების სააღდგომოდ მოწესრიგებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული 21 პროექტიდან, 18 საგზაო ინფრასტრუქტურაა, მათგან რამდენიმე პროექტი ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით. კერძოდ, საგზაო ინფრასტრუქტურა ეწყობა ☞3



ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

2 ☞

კვლავ საგზაო პროექტებზე

სამ მისამართზე: ქალაქ თერჯოლაში, ვაჟა-ფშაველას და ჯაბიძის ქუჩების საავტომობილო გზებზე, ასევე სოფელ სიქთარვის საუბნო გზაზე.

ვაჟა-ფშაველას მე-6 შესახვევში, საავტომობილო გზა მოეწყობა არმირებული ბეტონის საფარით, ხოლო ჯაბიძის მეორე შესახვევში რეაბილიტირდება საგზაო მონაკვეთი, რომელზეც ამ დროისათვის გაბიონების და საყრდენი კედლის მშენებლობა მიმდინარეობს. ქალაქის ქუჩებზე სამშენებლო პროცესს შპს „მეკა“ ახორციელებს

რაც შეეხება სოფელ სიქთარვას, აქ მემანიშვილები-აბჟანდაძეების უბანში, საავტომობილო გზაზე სამუშაოებს სამშენებლო კომპანია „ალპედე“ აწარმოებს.

საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგის ფარგლებში, სამივე მშენებარე პროექტის შესრულება ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ მოინახულა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად.

კეთდება სკოლასთან მისასვლელი გზა

სოფელ ჩხარში მიმდინარეობს სკოლასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ამ დღეებში, საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგის ფარგლებში, ადგილზე დაათვალიერა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად.

ხელმძღვანელმა პირებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დეტალურად მიიღეს ინფორმაცია აღნიშნულ საგზაო მონაკვეთზე დაგეგმილი სამუშაოების შესრულების შესახებ.

ჩხარში, პირველ სკოლასთან დამაკავშირებელ გზაზე, არმირებული ბეტონის საფარი ეწყობა და ამ კეთილმოწყობილი გზით ასამდე მოსწავლე ისარგებლებს.

ჩხარის აღნიშნული საგზაო მონაკვეთი, ერთერთია იმ 21 ინფრასტრუქტურულ პროექტს შორის, რომელიც 2024 წელს ხორციელდება რეგიონული განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.

ამ საგზაო პროექტის საერთო ღირებულება 315 000 ლარია. სამუშაოებს კი, შპს „ჯეო როუდ ინვესტი“ ანხორციელებს.

„ერთად დავასრულოთ სტერეოტიპები!“

21 მარტს, დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერი-მანუჩარ რობაქიძე თერჯოლაში არსებულ დღის ცენტრებს ესტუმრა.

დღის ცენტრებში, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძესთან და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა. ხელმძღვანელმა პირებმა აღსაზრდელების მიერ შესრულებული სიმღერები მოისმინეს.

21 მარტი, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღედ, გაეროს ეგიდით 2011 წლის 10 ნოემბერს დაწესდა. საქართველოში ეს დღე 2012 წლიდან აღინიშნება და მისი მიზანია საზოგადოებაში დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა სრულუფლებიან მოქალაქეებად დამკვიდრება.

დაუნის საერთაშორისო დღის, 2024 წლის სლოგანია „ერთად დავასრულოთ სტერეოტიპები”!

„პორტრეტები“...

თერჯოლაში, მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით, ღონისძიება—სახელწოდებით „პორტრეტები“, ინტეგრირებული აქტივობის ფარგლებში გაიმართა.

ღონისძიების მონაწილეებმა სრულყოფილად წარმოადგინეს საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ქალბატონების ბიოგრაფიული და პროფესიული შტრიხები, რომლებმაც თავისი ღრმა კვალი დატოვეს საზოგადოებაში და უკეთესობისკენ შეცვალეს ის გარემო, სადაც ცხოვრება და მოღვაწეობა უწევდათ.

ღონისძიებას, მუნიციპალიტეტის მერი-მანუჩარ რობაქიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

დეპუტატის ტრიბუნა

შალვა ჭანკვეტაძე: „ერთობლივი ძალისხმევით ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ ჩვენი მოსახლეობისათვის“

შალვა ჭანკვეტაძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი მოწვევის დეპუტატია. იგი 2021 წლიდან საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას ხელმძღვანელობს.

დამთავრებული აქვს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, მუშაობდა თერჯოლის რაიონულ საავადმყოფოში უბნის ექიმად. მან 2011 წელს ქ. კიევის ნაციონალურ სამედიცინო აკადემიაში გაიარა კლინიკური ორდინატურის კურსი პირველადი ქირურგია.

2014 წლიდან მუშაობს სს „ევექსის“ კლინიკაში ზოგად ქირურგად, პარალელურად კლინიკა „ფერომედში“ და ქუთაისის რეფერალულ კლინიკაში ქირურგის პოზიციაზე.

ჰყავს მეუღლე ელენე ობოლაძე და ორი შვილი—რუსუდანი და ილია.

საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ჩვენთან საუბარში თქვა:

„საკრებულოს კომისიის წევრებთან ერთად აქტიურ რეჟიმში გვიწევს სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხილვა. მუნიციპალიტეტში სულ 14 სოციალური პროგრამაა, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 1 684 000 ლარს.

ამ სოცპროგრამებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ფინანსური და სხვადასხვა სახის დახმარება. მათ შორის მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება, იშვიათი დაავადებების მქონე პირების დახმარების პროგრამები და სხვა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2024 წლის დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებში წელს 12 ახალი სახლი აშენდება.

როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, აქტიურად ვარ ჩართული სოფელ რუფოთისა და ღვანკითის მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახის საკითხების მოგვარებაში.

სოფელ რუფოთში, თითქმის დასრულდა სასმელი წყლის პროექტი. მალე დაიწყება მისი მშენებლობაც, რის გამოც ხალხი კმაყოფილია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების.

დეპუტატისათვის ეს დიდი თანადგომაა, რისთვისაც მე, როგორც ერთი მოქალაქე და დეპუტატი მადლიერი ვარ.

რუფოთში თანამედროვე სტანდარტების მიხდვით გარემონტდა საჯარო სკოლა.

დიდი საქმე კეთდება სოფლის დახმარების პროგრამით ორივე სოფელში. კარგია და კმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ ამ საკითხებზე მოსახლეობა თვითონ იღებს გადაწყვეტილებას მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. სხვადასხვა წლებში ამ პროგრამით არა ერთი პროექტი განხორციელდა. წელს რუფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში სულ 36 000 ლარია გამოყოფილი, ღვანკითში 20 ათასი ლარი. რუფოთსა და ტელეფაში ეს თანხა მთლიანად მოხმარდება ინერტული მასალების შემოტანას და სასოფლო გზებზე გაშლას, ღვანკითში კი სანიაღვრე არხების, ცხაურების და ბოგირების მოწყობას.

ამ დროისათვის სოფელ რუფოთში მიმდინარეობს მინი სტადიონის მოწყობა, ტელეფაში კი უკვე დასრულებულია, განათდება საბავშვო ატრაქციონი და გმირთა მემორიალი“.

საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს ფუნქციონალურად, ბევრი მნიშვნელოვანი მოვალეობა აკისრია, მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს. ამ მოვალეობებში, რა თქმა უნდა, ყველაზე უპირატესი, მაინც მოსახლეობასთან კონტაქტი, მათთან ანგარიშვალდებულება და მათი ყოველდღიური საჭიროებების მოგვარებისათვის ზრუნვაა.

ვთვლი, რომ ის, რაც კეთდება, ჩვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან, მის სამსახურებთან შეთანხმებული თანამშრომლობის კარგი მაგალითია.

უდავოა, რომ ამ თანამშრომლობის ხარისხი, რაც უფრო მაღალია, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით, მით უფრო ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ ჩვენი მოსახლეობისათვის.

ჟუჟუნა ცხადაძე

9 აპრილი, თბილისის სისხლიანი ტრაგედიის ექო...

ბარათი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, „თერჯოლას“ ღვანკითის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა მადიმი დოლაკიძემ გამოუგზავნა...

„თაროებიდან წიგნები გადმოვალაგე, უეცრად ერთი წიგნიდან ფურცელი გადმოვარდა, ჩემი მოსწავლის ჩანაწერი აღმოჩნდა, გადავიკითხე და სევდაც დამეუფლა, სიამაყის გრძნობასთან ერთად. ამ პატარა დიდი გრძნობით დაწერილი ჩანახატის ავტორის ერთადერთი ძმა, ვალერი გოგნაძე, აგვისტოს ომში დაიღუპა, ნათელი მის ხსოვნას...

მე კი მეამაყება, რომ ვალერი ჩემი მოსწავლე იყო და ეს ლამაზი ჩანახატიც ჩემი მოსწავლის, ვალერი გოგნაძის დის, თამარ გოგნაძის ნაშრომია. მან წარმატებით დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. დღეს მისი შვილები სტუდენტები არიან“...

აი, ეს ჩანაწერიც:

ვინა ვარ?

„ვინა ვარ?—შენთვის დანთხეული სისხლის ალისფერი წვეთი ვარ საქართველოვ, შენთვის დაღვრილი ცხარე ცრემლის წმინდა კურცხალი ვარ, შენს მდელოზე დილით გაბნეული ნამი ვარ ათასფერა. შენთვის მომღიმარე ცხრათვალა მზის ერთი სხივი ვარ ციდან გადმოღვრილი.

ანგელოზთა თვალთაგან გადმობნეული წვიმის მძივთა მარცვალი ვარ პაწაწინა.

შენი თბილი მიწის ხნული ვარ ახლადგავლებული.

შენი სიყვარულით აწითლებულ ყაყაჩოთა მორცხვი ღიმილი და თვალკამკამა იის სინაზე ვარ...

ნაკადული ვარ ერთი ციდა შენთვის მოწანწკარე,

ნიავი ვარ, მრავალტანჯულ მკერდზე რომ გელამუნება ალერსით...

ჰოი, ქართვლის დედავ, ვინ იცის რამდენჯერ ნაგვემო და წამებულო, ეს მერამდენედ შეგიღებეს მანდილი სისხლით, ეს მერამდენედ დაგვახურეს თავზე ეკლის გვირგვინი, ეს მერამდენედ შეგმოსეს თალხით, ეს მერამდენედ ჩააფიქრეს სევდით მთაწმინდა, ეს მერამდენედ დააობლეს მტკვარი, ეს... მერამდენედ... რა დავაშავეთ? რა ცოდვა გვაქვს ასე საზარი? რად დარეკა რისხვით ცარგვალმა?

რუსთაველზე აპრილი ხარობდა, ცბიერი ყოფილა გაზაფხულის მზეც... ეს რამდენი კვირტი დაგეზრო უცაბედად დედა სამშობლოვ. იმ უმანკო კვირტების ღიმილი ვარ უკანასკნელი...

ეკას, თამრიკოს, ნათიას, ნინოს და სხვათა სიცოცხლე ვარ და გულისცემა უდროოდ შეწყვეტილი.

ვინა ვარ?—ტატოს მერნით გაკვალული ბილიკი ჩემს გულზე გადის, სიმღერა ვარ საქართველოვ, შენთვის ამოთქმული ოდითგან, ჩემში გრძელდება ქეთევანისა და თამარის ძარღვის ფეთქვა, ჩემშია ჩაბუდებული ცოტნესა და პაატას გმირული სული. სანთელი ვარ შენთვის ანთებული საქართველოვ, მლოცველი ვარ ღვთის ტაძარში შენთვის მუხლმოდრეკილი...

მუხის ნერგი ვარ ჯერ კიდევ ნორჩი, შენს მრავალგზის ნამეხარ გულზე ამოყრილი და შენს ტანჯულ მიწაში მძლავრად ფესვებგადგმული, ერთი ყლორტი ვარ შენი მომავლისა... მე მარტო არა ვარ...

საქართველოვ, შენ აზრი ხარ ჩემი სიცოცხლისა, ოცნება და ნატვრა ხარ ჩემი.

ჰოი, სამშობლოვ, დამიგულე შენს უწმინდეს საკურთხეველზე შესაწირ მსხვერპლად...

თამარ გოგნაძე

მე-11 კლასი, 1989 წელი

მინდა მკითხველმა საგანგებო ყურადღება მიაქციოს ჩანახატის ბოლო წინადადებას...

„ჰოი, სამშობლოვ, დამიგულე შენს უწმინდეს საკურთხეველზე შესაწირ მსხვერპლად...“

ამ სტრიქონის ავტორი, ალბათ ძალიან ძნელად წარმოიდგენდა, რომ სამშობლოს მისი ოჯახიდან მართლაც დასჭირდებოდა მსხვერპლი და ეს მისი ძმა იქნებოდა.

დაილოცოს უფლის განგება... დიახ, ვალერი გოგნაძე, 2008 წლის ომის შეწირული ერთ-ერთი გმირია, რომელმაც უყოყმანოდ გასწირა მამულისათვის საკუთარი სიცოცხლე...

ასეთი პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდნენ ოჯახები შვილებს. სკოლები მოსწავლეებს... ამის მაგალითი იყო 9 აპრილი, რომელმაც აჩვენა, რომ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას წინ ვერაფერი გადაეღობება.

რაც შეეხება თამარ გოგნაძეს ეს ჩანახატი წარჩინებულმა მეთერთმეტეკლასელმა გოგონამ იმ დღეებში „საკონტროლო“ წერაზე დაწერა, რომელშიც მთელი მისი თაობის გულმხურვალე და პატრიოტი ახალგაზრდობის ტკივილი, განცდა და თავისუფლების წყურვილია გადმოცემული, რომელიც კარგად ასახავს რა იყო 9 აპრილის ტრაგედია და მისი შემდგომი დღეები ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიაში.

მზია ცქიფურიშვილი

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“

გალაკტიონის ეს მშვენიერი სტრიქონი სწორედ 1989 წლის 9 აპრილს და წინა დღეებში გაისმა მთელი ძალით და სიმართლით. თავისუფლების წყურვილმა გამოიყვანა უამრავი ხალხი მთავრობის სახლთან, სამწუხაროდ ხალხის ხმა ჩახშობილ იქნა, დაიღვარა უმანკო სისხლი მხოლოდ იმიტომ, რომ მომიტინგეებს სამშობლოს ერთიანობა, მთლიანობა, თავისუფლება სურდათ და ეს გულისწადილი მშვიდობიანი მანიფესტაციით გამოხატეს. დაიღუპა 21, დასახიჩრდა და მოიწამლა ათასობით ადამიანი.

სრული 35 წელი გავიდა 9 აპრილის ტრაგედიიდან, კვლავ არ მოშუშებულა იარა, იგი სამუდამოდ დააჩნდა ქართველის სულსა და სხეულს.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული ამბები, უმძიმესი დღეები კვლავ არ არის გადატანილი, ვიხსენებთ ყოველ 9 აპრილს სრულიად საქართველოში, პატივს მივაგებთ დაღუპულთა ხსოვნას, ჩვენთანაც, 9 აპრილის მემორიალთან, ყოველწლიურად იკრიბებიან ხელმძღვანელი მუშაკები, თერჯოლელები. ჩვენს მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ 9 აპრილის მონაწილე თბილისის სისხლიანი ღამის თვითმხილველნი, ერთ-ერთი მათგანია ქვ. სიმონეთელი, საქართველოს ეროვნული მოძრაობის წევრი მურად ღვინეფაძე. იგი 4 აპრილიდან, თბილისში, მთავრობის სახლთან იმყოფებოდა, 9 აპრილის სისხლიან ღამესაც იქ იყო. მურადს დღემდე გამოჰყვა და კიდევ დიდხანს გაჰყვება, ააღელვებს, მოსვენებას არ მისცემს 9 აპრილის ტრაგედია.

იგონებს თვითმხილველი

„...მაშინ, როცა თბილისში გაზაფხული მოვიდა, მშვიდობიანი აქციის მონაწილეები სიკვდილს ებრძოდნენ. ალბათ არ მოიძებნება ისეთი ქართველი, რომელმაც არ იცის 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი თარიღის შესახებ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ამ დღეს, გამთენიისას, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რის შემდეგაც 21 ადამიანის წამებული სული ზეცაში გაფრინდა, გარდა ამისა იყვნენ დაჭრილები და დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოწამლული 2000-მდე ჩვენი თანამემამულე. ამ მსხვერპლით სავსე მოვლენამ წყალგამყოფი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების გაძლიერებაში.

ახლაც ჩამესმის მომიტინგე ახალგაზრდების სიმღერისა და ცეკვის მხიარული ნოტები, რაც მალე ჩაიკარგა სასიკვდილოდ განწირულ და სასოწარკვეთილ შეძახილებში.

მერწმუნეთ, რთული იყო იმის გარჩევა ვინ უფრო მეტად იწვოდა სამშობლოსათვის—დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, ერთნაირად ხვდებოდა მტრის მიერ გადმოგდებულ ხმაურიან და სიკვდილის მომასწავებელ ნაბიჯს. რთულია იმაზე საუბარი, რა ბედი ეწეოდა ჩვენს სამშობლოს, რომ არა 9 აპრილის ტრაგედია. თუმცა, ერთი რამ უდავოა, რომ სწორედ მაშინ გადაწყდა საქართველოს, ჩვენი სამშობლოს ბედი.

იმ დღეს, რუსთაველის გამზირზე, ჩვენი თანამემამულეები, ეროვნულ განმათავისუფლებელი იდეის მოტრფიალენი იყვნენ და ის ტრაგედია საქართველოსთვის თავგანწირვა იყო.

მინდა მწამდეს, რომ ყოველ 9 აპრილს, საქართველოს ზურმუხტისფერ მიწაზე, სულ სხვანაირი გაზაფხული მოვა. იგი თითოეულ სამშობლოს მოყვარულ ქართველს შეგვახსენებს მსხვერპლის გაღებით დამსახურებულ გამარჯვებას, რომელიც არასოდეს დაგვვიწყებია და არასოდეს დაგვავიწყდება.

მე ყოველთვის მატირებს ეს სიტყვები: „სამშობლო არ დაგავიწყდეთ, სამშობლო უმთავრესია“—გვმოძღვრავს დიდი გალაკტიონი.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედია, უდანაშაულო შვილთა ტრაგიკული დაღუპვა ღრმად განიცადა ყველა ქართველმა. ძნელი იყო იმასთან შეგუება, რომ ქართველები დაიღუპნენ თავიანთ მიწაზე, თავიანთ დედაქალაქში, თავიანთ მთავარ გამზირზე, რომ არ დადგინდა სიმართლე, გაურკვეველია დამნაშავეთა ვინაობა, არავის მიეზღო კუთვნილი...

აი რას წერდნენ 1989 წელს, 9 აპრილის ტრაგედიის დღეებში, თერჯოლის მეორე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები:

ზეიმი არ გაიმართება

9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ გულში ღრმა ჭრილობა დაგვიტოვა. ის ალესილი ნიჩბები განა მარტო იმ საშინელ ტრაგედიისას დაღუპულებს, ჩვენც მოგვხვდა მკერდში, იმ მომწამვლელმა გაზმა ჩვენც დაგვინისლა ღიმილიანი სიჭაბუკე. ეკა, ნათია, თამრიკო! ჩვენთან სკოლაში არ გაიმართება ბოლო ზარის ტრადიციული ზეიმი, ჩვენ, ყველა ქართველისათვის წმინდა ადგილს ბაგრატს, მოწამეთას, გელათს ვეწვევით, მუხლს მოვიყრით მეფე დავით აღმაშენებლის საფლავთან და ფიცს დავდებთ ჩვენი სათაყვანებელი წინაპრების და თქვენი ნათელი ხსოვნის სანაცვლოდ, რომ ენერგიულად ვიშრომებთ და ვიბრძოლებთ ძლიერი, ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოსთვის.

ჟუჟუნა ცხადაძე

მიხეილ ქამუშაძე,
მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში

ამ დღეებში, „თერჯოლა“ ესაუბრა მერის წარმომადგენელს სოფელ ეწერში მიხეილ ქამუშაძეს. საუბარი უპირველესად შეეხო სოფლის მხარდაჭერის გასული წლის პროგრამის შესრულებასა და მიმდინარე წელს დაგეგმილ პროექტებს, ასევე დაფინანსების სხვადასხვა წყაროდან შესასრულებელ, სოფლისათვის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს, სოფელ ეწერში მოცვისა და ჩაის მოყვანა-გადამუშავებით დაკავებულ ბიზნესმენთა საქმიანობას.

მიხეილ ქამუშაძე: შარშანდელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფელ ეწერში მოეწყო 4 ხიდ-ბოგირი უკლებების უბანში, ბუნებრივი სანიაღვრები 500 მეტრზე, ასევე გაკეთდა ბეტონის სანიაღვრეები ზარნაძეების უბანში 100 გრძივ მეტრზე. სოფელ ახალ უბანში მოეწყო ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, მოსახლეობის გადაწყვეტილებით ეკლიანი მავთულით შემოიღობა აჯამეთის ტერიტორიაზე განთავსებული 25 ჰექტარი სახნავ-სათესი სავარგული. მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით რობაქიძე-სილაგაძეების და ქარქაშაძე-ცხელიშვილების უბანში მოეწყო განათებები 62 წერტილზე.

წლევანდელ წელს სოფლის პროგრამით, თხელიძეების უბანში განსაზღვრულია ერთი ხიდ-ბოგირის, გვენეტაძეების უბანში კი ცხაურების მოწყობა, მავთულბადით შეიღობება საბავშვო ბაღის ეზოს ერთი მხარე 70 გრძივ მეტრზე.

მიმდინარე წელს გაიწმინდება ბუნებრივი სანიაღვრეები 2,5 კმ-ზე. დაიხრეშება აჯამეთში ახალუბნის მოსახლეობის სავარგულებამდე მისასვლელი და გაკეთდება ერთი ხიდ-ბოგირი.

ეს რაც შეეხება გასული და მიმდინარე წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამებს.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ამ ეტაპზე მთელი ჩვენი მუნიციპალიტეტის ყურადღება გადატანილია ცენტრალურ ავტობანთან სოფლის ორმხრივად დამაკავშირებელი გზის მოწყობაზე (თბილისის მიმართულებით).

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა გადავუხადო ეწრელებს: ნინო ზარნაძეს, ვახტანგ და დათო რობაქიძეებს, ნუგზარ ხვარეშიას, ბადრი კირკიტაძეს, ვიქტორ ცქიფურიშვილს, ზურაბ ქათამაძეს, შპს „არსს“, ავთანდილ უკლებას, გოჩა ბოგვერაძეს, რომლებმაც გზის მოწყობისათვის უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთების საჭირო რაოდენობები.

არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნო ამ წლების მანძილზე მოუგვარებელი და მტკივნეული პრობლემის გადაწყვეტაში იმ დიდი ძალისხმევის შესახებ, რაც მუნიციპალიტეტის მერიამ და მაჟორიტარმა დეპუტატმა ბეჟან წაქაძემ გასწიეს ამ მიმართულებით.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ ეტაპზე სოფელში მერიის დაფინანსებით უკვე მიმდინარეობს ეწრის საბავშვო ბაგა-ბაღის განყოფილების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხოლო, უკლებების უბნებში მოეწყო სავარჯიშო ტრენაჟორები.

იმედი გვაქვს, რომ ყველა სამუშაო დროულად და მაღალხარისხიანად შესრულდება...

„იმედი გვაქვს, რომ ყველა სამუშაო დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულდება“

სოფელი ღონიერია თუ კაცი გონიერია
ნესტორ ლუტიძის თამამი გეგმები

მოცვის, ამ უძვირფასესი კულტურის პლანტაციები მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ეწერში სულ უფრო მატულობს. როგორც ჩანს და პრაქტიკულადაც დასტურდება სოფლის, გარკვეული ტერიტორიის ნიადაგები ესადაგება კულტურის ზრდა-განვითარებას, მას ხომ მოწითალო, ეწერი ნიადაგები ესაჭიროება.

გასულ წელს ჩვენ უკვე ვაუწყეთ მკითხველებს კოოპერატივ „ბილბერის“ (თავმჯდომარე მალხაზ მარგველაშვილი) საქმიანობის შესახებ, იმაზე, რომ აჯამეთში, საცდელ-ექსპერიმენტული ნაკვეთიდან, კარგა ხანია იწევენ მოსავალს. ამჯერად მეწარმე ნესტორ ლუტიძეზე მოგითხრობთ, მას არ აქვს კოოპერატივი, არც შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, ინდმეწარმეა და ამდენად მით უფრო დასაფასებელია ის გრანდიოზული გეგმები (არ ვაჭარბებ), რომლის რეალიზაციისათვის თავდაუზოგავი შრომითა და იობის მოთმინებით იღვწის.

ნესტორი ყოველივე ამის შესახებ ისე ინტერესით გვიყვება, რომ თითქოს აგერ თვალწინ ხედავდეს ათეულობით ჰექტარზე გადაჭიმულ მოცვის პლანტაციებს, ნაყოფით პირთამდე სავსე ყუთებს, ევროპის თუ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ გასაგზავნად გამზადებულს.

მოკლედ იმაზე, თუ რატომ აირჩია მოცვის კულტურა გასაშენებლად, რა იყო მოტივაცია ამ რთულ საქმეს შესჭიდებოდა: მოცვს აქვს ის სამკურნალო თვისებები, როგორიც არცერთ სხვა მცენარეს, კერძოდ, იგი ხელს უწყობს ორგანიზმში ინსულინის გამომუშავებას და ბუნებრივი პროფილაქტიკური საშუალებაა საუკუნის დაავადების—დიაბეტის მკურნალობისათვის. შესაბამისად, ეფექტურია მოცვის მოქმედება მათთვის, ვინც მხედველობას უჩივის, ანუ სუსტი მხედველობა აქვს და ა.შ. მოცვის ნაყოფზე დიდი მოთხოვნილებაა ზოგადად, განსაკუთრებით საზღვარგარეთის ქვეყნებში. მათ შორის ყაზახეთში, ირანში, რუსეთში, არაბული ქვეყნების უმრავლესობაში, აღარაფერს ვამბობთ ევროპის ბაზარზე, სადაც დაუბრკოლებლად გადის, თანაც საკმაოდ ძვირ ფასად.

თუ კოოპერატივი „ბილბერი“ გაისად ელოდება პირველ მოსავალს, ბატონი ნესტორი ადრე გაშენებული პლანტაციიდან, როგორც თავად გვითხრა, უკვე იწევს მოსავალს, გააქვს სარეალიზაციოდ და შემოსულ თანხას ახალი პლანტაციების გაშენებას ახმარს. პერსპექტივაში, მთლიანობაში, 20-25 ჰა-ზე სურს გააშენოს კულტურა, რომლის მოვლა-პატრონობაში მთლიანად ადგილობრივ მუშა-ხელს დაასაქმებს.

პლანტაციების მოვლა თანამედროვე ტექნოლოგიით იწარმოება, საინტერესო იქნება მკითხველისათვის, რომ ეს ნოვატორი მეწარმე საკუთარ დენს მოიხმარს—მზის ენერგიაზე მომუშავე ელექტრო პანელებით, პერსპექტივაში კი აპირებს ქარის ენერგიაზე მომუშავე ელსადგურის გაკეთებას, ისეთისას, როგორიც გორი-თბილისის გზაზეა. თავიდან საცდელად ერთისას, თუ გაამართლა მათ რიცხვს ათამდე ავიყვანო, გვეუბნება დაბეჯითებით და სოფლებს იაფი ელენერგიით მოვამარაგებო.

მოცვის წვეთოვანი მორწყვისათვის გააკეთა არტეზიული ჭა, თუმცა სამყოფი წყალისათვის სოფ. ძევრიდანაც აქვს შემოყვანილი წყალი, საათში 13 ტონის წარმადობით. თანდათან მართავს საჭირო ინფრასტრუქტურას, ბინა—დამხმარე მუშა-ხელისათვის, ჯიხური—ყარაულისათვის, ოთახები—სასადილოდ და მოსვენებისათვის...

ნერგები შემოაქვს დიდი ბრიტანეთიდან 6 ჰა-ზე გასაშენებლად, იტალიიდან 4 ჰა-ზე გასაშენებლად.

თუ თანხები არ გაქვს საჭირო ოდენობით ამხელა საქმეს როგორ შეეჭიდები. აღსანიშნავია, რომ ნესტორის იდეამ გაიმარჯვა პროექტში „დანერგე მომავალი“ და სუბსიდიის სახით 120 000 ლარი მიიღო, პირადად აიღო აგროკრედიტი 600 000 ლარის ოდენობით. ყველა ამათ—პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხების ჩათვლით, კაპიკ-კაპიკ თავის გაბედულ წამოწყებას ახმარს, ეჭვიც არ ეპარება, რომ „რისკი კეთილშობილი საქმეა“ და ამ შემთხვევაშიც უსათუოდ გაამართლებს.

ვუსურვოთ წარმატებები.

ი. ერაძე

„ანდიტრი“ ჩაის კრეფისათვის ემზადება

ნათქვამია „თაფლი იყოს და ბუზი თუნდაც ბაღდადიდან მოვაო“, ჰოდა, რომ ნახეს ინტერნეტში უცხოელმა ტურისტებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში შპს „ანდიტრი“ ბიოჩაის აწარმოებს, დაჰკრეს ფეხი და ჩამოვიდნენ. გერმანელმა, ფრანგმა, უკრაინელმა სტუმრებმა თავისი ხელით მოკრიფეს ჩაის ფოთოლი, თავისივე ხელით გადაამუშავეს და მზა პროდუქცია თან წაიღეს. მატერიალურთან

ერთად მასპინძლებს მადლიერება, სითბო და სიყვარული დაუტოვეს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ხუთიოდე წლის წინ, ეწრელმა ძმებმა ელგუჯა და გრიგოლ ბიწაძეებმა აჩეხვას გადარჩენილი, გაველურებული პლანტაციებიდან ნედლეულის აღება დაიწყეს და ისეთი პროდუქცია გამოუშვეს რესპუბლიკაში კი არა, მის ექსპორტიორებს შორის, „ანდიტრის“ პროდუქციას საპატიო ადგილი უკავია ყველა თავისი მოპოვებული რეგალიებით, რაც სასახელოა ჩვენი რაიონისათვის.

ამის შესახებ ადრე უკვე ვაცნობეთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს. ახლა კი იმაზე თუ რას აპირებენ ძმები სამომავლოდ—როგორც თავად გვითხრეს, სურთ მათი მინისაწარმო ის ფლაგმანი გახდეს, რომლითაც მუნიციპალიტეტში ამ ძვირფასი კულტურის აღორძინება დაიწყება. თუ წინა წლებში ეკალ-ბარდებით გადავლილი პლანტაციებიდან რის ვაი-ვაგლახით კრეფდნენ ნედლეულს, სადღეისოდ უკვე ხუთი ჰექტარია გაწმენდილი ჯაგნარისაგან და გაკეთილშობილებული. ოცზე მეტი ადგილობრივი ქალბატონი დაასაქმეს კრეფაში და მათ ოჯახებს დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩინეს. მკრეფავებს შრომა გაუიოლდათ მოვლილ პლანტაციებში. წესრიგში იქნა მოყვანილი საჭირო ინფრასტრუქტურა, უპირველესად გადასამუშავებელი დანადგარები.

საწარმოში მისული ტურისტები შემდეგ სხვაგან მიდიოდნენ ღამის გასათევად. ეს კარგად გაითვალისწინეს და დაიწყეს მინი სასტუმროს მშენებლობა, რომელიც უკვე, მათივე თქმით, დამთავრების პროცესშია.

გაგრძელდება „ანდიტრის“ საქმიანი ურთიერთობა ქუთაისის პროფესიულ კოლეჯ „იბერიასთან“. კოლეჯის მოსწავლეები აქ გაივლიან საწარმოო პრაქტიკას და უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას ყველა პროცესში, დაწყებული ნედლეულის კრეფიდან ბიოჩაის საბოლოო ოპერაციამდე.

ისღა დაგვრჩენია წარმატებები ვუსურვოთ ენთუზიასტ ძმებს...

ი. იმედაძე

5 მაისი—ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

7 აპრილი, ხარება

ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს, რომელსაც წმიდა ეკლესია 7 აპრილს აღნიშნავს, ხარება ეწოდება. ამ დღეს ყოვლადწმიდა მარიამთან ერთად მთელ კაცობრიობას ეუწყა, რომ სახიერმა ღმერთმა ადამიანი სიკვდილისა და ცოდვის სამუდამო ტყვეობისათვის ვერ გაიმეტა და ეშმაკის მონობისაგან მისი გამოხსნა გადაწყვიტა.

ეს დღე არის დასაბამი „ჩვენი ცხონებისა და გამოჩინება საუკუნოითგან დამალულისა საიდუმლოისა“. უფალმა იესო ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს, მესიას მოუვლენდა, რომელსაც შობდა ქალწული და უწოდებდა სახელად ემანუელს, რომელიც ითარგმანება როგორც „ჩვენთარ არს ღმერთი“.

ჭეშმარიტად, ღვთის განკაცებით ჩვენთან არს ღმერთი. და აი, მიავლინა უფალმა მთავარანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქ ნაზარეთში ქალწულ მარიამთან, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე. წარუდგა ანგელოზი ქალწულს და უთხრა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. მარიამი შეაძრწუნა მისმა სიტყვებმა და გაიფიქრა: „ვითარ-მე არს მოკითხვაჲ ესე?“ - რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო? ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აჰა, ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშვა ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“.

ღვთისმშობელს, რადგან ქალწულების აღთქმა ჰქონდა დადებული, იკითხავს: „ვითარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“ ანგელოზი მიუგებს: „სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ“, - და ნიშანსაც აძლევს: მისი ნათესავი, მოხუცი ელისაბედი, უკვე მეექვსე თვეა, რაც მიდგომილია.

მარიამმა, როცა ყოველივე გამოწვლილვით გაიგო, დამორჩილდა, მიენდო უფალს და ღვთის ნებას თავისი ნება შეუერთა: „აჰა მხევალი უფლისაჲ, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“. და მეყსეულად შევიდა სულიწმიდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში.

რითი დაიმსახურა ქალწულმა მარიამმა ესოდენი მადლი ღვთისა, რომ ადამის მთელი მოდგმიდან სწორედ ის აირჩიეს ღვთის განხორციელების მსახურად? იმით, რომ იგი ყოველი სათნოებით იყო შემკული, რამდენადაც ეს ადამიანის ბუნებისთვისაა შესაძლებელი, და იყო ჭეშმარიტი ტაძარი ღვთისა.

განსაკუთრებით აღნიშნავენ მის სიმდაბლესა და სიმშვიდეს - სწორედ ამ სათნოებათა გამო გამოირჩია იგი უფალმა. ქალწულ ღვთისმშობელზე ასეთი გადმოცემა არსებობს: როდესაც იგი ესაია წინასწარმეტყველის წიგნს კითხულობდა, იქ, სადაც წერია: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“, - თურმე შეყოვნდა, გაიფიქრა, რა ნეტარი იქნება ის ქალწული, რომელზეც ეს ითქვაო და ღმერთს შეევედრა, მისი ხილვის ღირსი გამხდარიყო, რათა მხევალივით მომსახურებოდა მას. სწორედ ამ სიმდაბლის გამო იყო, რომ მთავარანგელოზმა ესოდენ სულგრძელად დაუთმო ქალწულ მარიამს, რომელმაც ზეციურ მახარებელს ნათქვამის დამტკიცება და ახსნა მოსთხოვა.

არცთუ დიდი ხნის წინ გაბრიელი მღვდელ ზაქარიას გამოეცხადა და შვილის შეძენა ახარა, მაგრამ მღვდელმა არ დაუჯერა, რადგან ისიც და მისი ცოლიც ღრმად მოხუცებულნი იყვნენ. მთავარანგელოზი განურისხდა მას და დაადუმა, ვიდრე წინასწარმეტყველება ახდებოდა. ყოვლადწმიდა ქალწულს კი არამცთუ არ უსაყვედურა, არამედ დიდი კრძალვითა და მოთმინებით დააჯერა იგი და არ განეშორა, სანამ მორჩილებითა და სასოებით აღსავსე სიტყვები არ გაიგონა მისგან. მიზეზი ის გახლდათ, რომ ზაქარიამ თავისი ეჭვით ღრმად დაფარული ურწმუნოება გამოხატა, ყოვლადწმინდა მარიამმა კი - მორჩილება და სიმდაბლე.

ღმერთს არ სურდა, იძულებითა და შიშით აღგვასრულებინოს რომელიმე საქმე ან, პირიქით, დაგვიშალოს რაიმეს კეთება. იგი გულმოწყალეა, სამართლიანი, წმინდა და სურს, ჩვენც ასეთივენი ვიყოთ, მაგრამ კი არ გვაიძულებს სიკეთეს, არამედ შეგონებით, დარიგებით, სწავლით, სიყვარულით მივყავართ მისკენ. მას სურს, რომ ჩვენი ნებით აღვასრულებდეთ ყოველ კეთილ საქმეს.

რა იარაღითაც იღვაწა ეშმაკმა ჩვენი დაცემისათვის, იმავე იარაღით გვიხსნა ქრისტემ; თუ ევას საქციელმა ადამის მოდგმას ცრემლი მრავალგზის დაადინა, ქალწულმა მარიამმა უდიდესი სიხარული მოუტანა. ღვთისმშობლის ერთ-ერთი ეპითეტია „განმანათლებელი“, ნიშნად იმისა, რომ სიბნელეში მყოფ კაცობრიობას მის მიერ გამოუბრწყინდა მზე სიმართლისა და მორწმუნეთა გონება განანათლა.

საღდგომო მარხვის კვირეულები

ძვირფასო მკითხველო, „თერჯოლის“ წინა ნომერში ჩვენ განვიხილეთ აღდგომის მოსამზადებელი პერიოდი და ვისაუბრეთ მარხვის შესახებ. ეხლა კი მოგითხრობთ მარხვის კვირეულების დაწესებისა და მათი ისტორიის თაობაზე.

აღდგომის წინ, 40 დღიანი მარხვის შესახებ, გვაუწყებენ I – IV საუკუნეებში მოღვაწე მამები: წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი (I ს), ვიქტორ რომის ეპისკოპოსი (II ს), წმ. დიონისე ალექსანდრიელი, ორიგენე (III ს), ნეტერი იერონიმე, კირილე ალექსანდრიელი (IV ს) და მრავალი სხვა. ასევე მოციქულთა 69-ე კანონში ვკითხულობთ: „ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი, იპოდიაკონი, წიგნის მკითხველი ან მგალობელი, რომელიც აღდგომის წინ წმინდა ორმოცეულს, ან ოთხშაბათს და პარასკევს არ იმარხულებს განკვეთილ იქნას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხორციელი უძლურება ამის საშუალებას არ აძლევს. ერისკაცი კი ასეთივე ქმედებისათვის ზიარებიდან განკანონებით დაისაჯოს.“

მართალია, დიდ მარხვას უწოდებენ 40 დღიან მარხვას, მაგრამ სინამდვილეში, იგი მოიცავს 7 შვიდეულს.

საქმე იმაშია, რომ ბოლო ვნების კვირას ცალკე მდგომად მიიჩნევენ, რომელიც მკაცრია მარხულობის თვალსაზრისით. დიდი მარხვა თავისი მნიშვნელობით, სიმკაცრით თუ ზეიმურობით გამოირჩევა ყველა სხვა მარხვისაგან. მისი შესრულებით ჩვენ ვემზადებით ყველაზე დიდი ქრისტიანული დღესასწაულის - ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის შესახვედრად.

დიდმარხვის, ყოველ, შაბათს და კვირას თავის სახელი ჰქვია. პირველ შაბათს იხსენიება წმ. თეოდორე ტირონი. უსჯულო მეფემ, იულიანე განდგომილმა (361-363), გადაწყვიტა, ფარულად შეებილწა ქრისტიანები. მან იხმო კონსტანტინეპოლის გამგებელი და უბრძანა, დიდმარხვის პირველი კვირიაკის ყოველ დღეს ბაზარში გასაყიდი სანოვაგისთვის ნაკერპავი სისხლი ესხურებინა. წმიდა თეოდორე ტირონი გამოეცხადა მთავარეპისკოპოს ევდოქსის და უბრძანა, ეცნობებინა მართლმადიდებლებისთვის, არ ეყიდათ ბაზარში სანოვაგე და ეჭამათ მხოლოდ კოლიო - თაფლთან ერთად მოხარშული ხორბალი. ამ მოვლენის აღსანიშნავად ეკლესია ყოველწლიურად დიდმარხვის პირველი შვიდეულის შაბათს წმიდა თეოდორეს ხსენებას დღესასწაულობს და მის პატივსაცემად აკურთხებს კოლიოს მორწმუნეთათვის.

დიდმარხვის პირველ კვირას იხსენიება მართლმადიდებლობის ზეიმი, რომელიც დაწესდა 843 წლის 11 მარტს. ამ დღეს ხდება ანათემირება მწვალებლებისა. ეს მსახურება შეადგინა მეთოდიოს კონსტანტინეპოლელმა პატრიარქმა 847 წელს. ე. წ. „მართლმადიდებლობის წესი“.

დიდმარხვის II-III-IV შვიდეულის შაბათს აღესრულება, მიცვალებულთა მსახურება. ეკლესიის სწავლებით, გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სული შეწევნას საჭიროებს. მართლმადიდებელი მიცვალებულის სულზე ზრუნვა ხდება საღმრთო ლიტურგიაზე მოხსენიებით, პანაშვიდების გადახდითა და გარდაცვლილის სახელზე მოწყალების გაცემით.

დიდმარხვის მეორე კვირა არის გრიგოლ პალამას კვირა. წმინდა გრიგოლ პალამას კვირა მოგვიანო დანამატია მარხვანისა. იგი მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში მარხვანში შეიტანა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ფილოთეოსმა. ძველად იერუსალიმის ეკლესიაში ამ დღეს იხსენიებოდა უძღები შვილი.

დიდმარხვის მესამე კვირიაკეს ეკლესია აღნიშნავს ჯვრის თაყვანისცემის კვირას. ეს დღე მორწმუნეებს უფლის ვნებებს ახსენებს და რწმენაში აძლიერებს. ტრადიციისამებრ, პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვრის თაყვანისცემის დღეს ყვავილებით შემკულ ჯვარს ტაძრებში შუა ადგილას დააბრძანებენ. ღვთის განგებით, მაცხოვრის ჯვარცმიდან სამასი წლის შემდეგ ქრისტიანებმა მანამდე დაკარგული უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე ცხოველსმყოფელი ჯვარი უფლისა ისევ მოიძიეს და მისი თაყვანისცემის შესაძლებლობა მიეცათ. ეს მოხდა 326 წელს, მოციქულთა სწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის დროს.

დიდმარხვის მეოთხე კვირა არის იოანე სინელის (კლემაქსის) კვირიაკე. ღირსი იოანე სინელის კვირა მე-14 საუკუნიდან ჩნდება ეკლესიის ისტორიაში. ღირსი იოანეს ხსენება წლიური ციკლით აღინიშნება 30 მარტს, ხოლო 1 აპრილს აღინიშნება ღირსი დედის მარიამ მეგვიპტელის ხსენება.

საეკლესიო სწავლებით, დიდმარხვის მეხუთე კვირას, იხსენიება მარიამ მეგვიპტელი. მარიამ მეგვიპტელი მცირე ასაკიდან ერთ-ერთი მძიმე – მრუშობის ცოდვით იყო შეპყრობილი. ისეთ ადგილებში დადიოდა, სადაც მომლოცველები იმყოფებოდნენ და მათ აცდუნებდა. ერთხელაც იერუსალიმში ტაძარში შესვლა გადაწყვიტა. ამ დროს მას წინ უხილავი ძალა გადაეღობა. მარიამს სულიერი თვალი აეხილა, დაინახა თავისი ცოდვილი მდგომარეობა და სინანულმა შეიპყრო. ამის შემდეგ მან ცხოვრება იორდანეს უდაბნოში გააგრძელა.

48 წელი გაატარა მარიამმა უდაბნოში. აქედან 17 წელი ცხარე ცრემლით ტირონდა უდაბნოს საშინელ კლიმატში და მრუშობის ვნებას ებრძოდა. ამ ვნებისგან გათავისუფლებას დიდი დრო სჭირდება. მარხვით, ლოცვითა და სინანულით შეიძლება მისი დაძლევა.

მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება გვასწავლის, რომ გულწრფელები ვიყოთ უფლის წინაშე. ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანები უნდა მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს, მოვინანიოთ ცოდვები და ღმერთი ჩვენთან გაჩნდება, ფეხზე დაგვაყენებს და გვანუგეშებს.

მართლმადიდებელი ეკლესია დიდ მარხვის მეექვსე კვირა დღეს ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას ანუ ბზობას უწოდებენ. ეს გახლავთ ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს. ბზობა არის უძველესი დღესასწაული, უკვე მე-4 საუკუნეში მომლოცველი ეგერია გვაწვდის ცნობებს, რომ იგი იდღესასწაულებოდა იერუსალიმში. ტრადიციის მიხედვით ელეონის მთიდან იერუსალიმამდე ეწყობოდა მსვლელობა (გზა რომელიც გაიარა მაცხოვარმა), ეპისკოპოსი ვირზე ამხედრებული, ხოლო მრევლი პალმის ტოტებით ხელში. ეს ტრადიცია არსებობდა შუა საუკუნეებში.

მასალები მოგვაწოდა გელათის
სასულიერო აკადემიის სტუდენტმა,
დაჩი ბარდაველიძემ

„ტყე შეუნახე შვილებსა“...

21 მარტი, ტყის დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით, მწვანე ნარგავები დაირგო ქალაქის მრავალბინიანი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიებზე.

აქციაში, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი პირები და დეპუტატები, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობდნენ. გარემოსდაცვითი აქცია მერიის ა(ა) იპ-ის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური ცენტრის ხელშეწყობით განხორციელდა.

გამწვანების და გარემოსდაცვითი აქციები თერჯოლის მუნიციპალიტეტში ინტენსიურად იმართება.

ტყის დაცვის დღე—21 მარტი გაეროს გენერალურმა ასაბლეამ 1917 წელს აღიარა და ის მსოფლიოში ყოველწლიურად აღინიშნება. ამ დღის მიზანია ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში ტყეების მნიშვნელობის შესახებ. ქვეყნებს კი მოუწოდებენ განახორციელონ ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება, კერძოდ კი, გამწვანების კამპანია.

გადაარჩინე სიცოცხლე...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, სისხლის უანგარო დონაციის აქცია მოეწყო.

სისხლის უანგარო დონაციის აქციაში მუნიციპალიტეტის მერიის, ასევე ა(ა) იპების თანამშრომლები ჩაერთვნენ, დონორობის სურვილი გამოთქვეს მოქალაქეებმაც.

ვირუსუსაფრთხო სისხლის კომპონენტების გადასხმა საჭირო ხდება ავტოკატასტროფების, დამწვრობის, გულის ოპერაციების, ლეიკემიის და ტრამვების დროს.

სისხლის ბანკის მიერ, მოქალაქეებს უფასოდ და კონფიდენციალურობის სრული დაცვით ჩაუტარდათ შემდეგი გამოკვლევები:

ჰემოგლობინი;
B და C ჰეპატიტი;
აივ ინფექცია (შიდსი);
სისხლის ჯგუფისა და რეზუსის დადგენა.

სისხლის უანგარო დონაციის აქცია მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა.

თამაზ ლიკლიკაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა სოფელ ქვედა სიმონეთის მკვიდრი თამაზ ლიკლიკაძე. ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა



გააგრძელა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1984 წელს. სხვადასხვა დროს მუშაობდა კვახჭირის, ბარდუბნის, ნახშირღელის, ქვ. სიმონეთის კოლმეურნეობებში აგრონომად.

ბატონი თამაზი ყველგან ავლენდა ნიჭსა და უნარს, თავისი წვლილი შეჰქონდა კოლმეურნეობების გეგმა-ვალდებულებების შესრულების საქმეში. მას, როგორც კვალიფიციურ სპეციალისტებს ენდობოდნენ, პატივს სცემდნენ, ეიმედებოდათ ხელმძღვანელებს და ისიც ერთგულად, გულის კარნახით აკეთებდა საქმეს. კეთილსინდისიერმა

კეთილსინდისიერი ოჯახი შექმნა. ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლის პედაგოგ მზევინარ ყვავაძესთან ერთად აღზარდეს შვილები: ეკა, თიკო, მაკა, მარიკა. ზრდიდნენ და თავს ევლებოდნენ შვილიშვილებს: გიორგის, ანდრიას, ანას, ბარბარეს, ელენეს, ზურას, ქეთევანს, დათოს, უყვარდა და მეგობრობდა სიძეებთან: ნიკა ადეიშვილთან, ოთარ ნემსიწვერიძესთან, გივი გოგბერაშვილთან, რევაზ ხოხიაშვილთან. დედმამიშვილებთან ლამზირასთან და ფარნაოზთან ისეთივე სიყვარული აკავშირებდა, როგორც ბავშვობაში.

თამაზი უყვარდა სოფელს, მეგობრებს, ახლობლებს, ყველას, ვინც იცნობდა. ჰყავდა დიდი სამეგობრო და საახლობლო.

წავიდა ამქვეყნიდან ერთი კარგი კაცი, კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა... ვერ ვიტყვით, რომ ნაადრევად წავიდა, მაგრამ შვილებში, შვილიშვილების გარემოცვაში აწი უნდოდა სიცოცხლე. ნათელი დაადგეს და სიმშვიდე ჰქონდეს თამაზ ლიკლიკაძეს მარადიულ სასუფეველში.

ახლობლები

თერჯოლის სპორტსკოლის აღსაზრდელებმა 2024 სპორტული წელი წარმატებით დაიწყეს...

2024 წლის თებერვალ-მარტში მათი სპორტული მონაგარი ასეთია:

3-4 თებერვალი. ქალაქი თბილისი. საქალაქთაშორისო ჩემპიონატი კიკ-ბოქსინგში.

რამაზ ბარდაველიძე 55 კგ. პირველი ადგილი.

9-11 თებერვალი, ქ. თბილისი. თბილისის უშუს მე-14 პირველობა.

გიორგი აბჟანდაძე I ადგილი.
გიზო ზარნაძე II ადგილი.
აკაკი ქოჩიაშვილი III ადგილი.
ლუკა ფანჩულიძე III ადგილი.

23-25 თებერვალი. ქ. ბათუმი. გელა ჯანელიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში.

ლუკა ბუიღლიშვილი 85 კგ. პირველი ადგილი.

8 მარტი. ქ. თბილისი. აფხაზეთის ძიუდოს აკადემიის ღია პირველობა.

თამარ ზარნაძე 48 კგ. მე-3 ადგილი.
ნათია სვანაძე 48 კგ. მე-3 ადგილი.

8-10 მარტი. ქ. ქობულეთი. ვასო გოროზაშვილის სახელობის ღია რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

საბა კუტალაძე 44 კგ. პირველი ადგილი.

12-13 მარტი. ქ. ქუთაისი, საგაზაფხულო ჩემპიონატი სამბოში.

საბა ხუჯაძე 24 კგ მე-2 ადგილი.
რეზო ხაჭაპურიძე 24 კგ. მე-3 ადგილი.
გაბრიელ გაჩეჩილაძე 27 კგ. მე-3 ადგილი.
ნიკოლოზ რობაქიძე 29 კგ. მე- ადგილი.
დათო ლომიტაშვილი 35 კგ. მე-3 ადგილი.
გიორგი რობაქიძე 55 კგ. მე-3 ადგილი.

17 მარტი. ქ. თბილისი. საქართველოს უშუს მე-8 ჩემპიონატის თასის გათამაშება.

გიორგი აბჟანდაძე აბსოლუტური პირველი ადგილი.
აკაკი ქოჩიაშვილი 56 კგ. მე-2 ადგილი.
თამარ თაბუკაშვილი 60 კგ. მე-3 ადგილი.
გიგა ზარნაძე 75 კგ. მე-3 ადგილი.
ლუკა ფანჩულიძე 70 კგ. მე-3 ადგილი.

15-17 მარტი. ქ. ქუთაისი. სარეიტინგო და სალიცენზიო შეჯიბრება ძიუდოში.

საბა სულამანიძე 55 კგ. მე-2 ადგილი.

წლევანდელი წლის თებერვალ-მარტის ტურნირებისათვის მოჭიდავეთა გუნდები მოამზადეს მწვრთნელებმა: **ნოდარ გიორგაძემ, გიორგი კირკიტაძემ, გიგა ჩაფიძემ, დიმიტრი გურგენიძემ, ლერი რობაქიძემ, თამარ ხოჯაშვილმა, ლერი ჯიხვაშვილმა, მალხაზ თურქაძემ, ონისე ბოჭორიშვილმა** და **ზურაბ გავაშელაშვილმა.**

წარმატებები მათ და მათ შეგირდებს!

2024 წლის 9-17 მარტს, ქ. ქუთაისში, იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში „მაია“ ჩატარდა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში. ტურნირი მიმდინარეობდა შვეიცარიული სისტემით, რომელშიც მონაწილეობდნენ იმერეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

აღნიშნულ ტურნირში, სხვადასხვა კატეგორიაში წარმატებით იასპარეზეს თერჯოლის ა(ა)იპ სპორტული სკოლის ჭადრაკის წრის სპორტსმენებმა (მწვრთნელები: ეროვნული ოსტატობის კანდიდატი **მერი ჩაფიჩაძე,** ეროვნული ოსტატობის კანდიდატი **გია ჭუმბურიძე**).

მე-4 თანრიგოსან გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა **ლანა სოფრომაძემ** (რუფოთის საჯარო სკოლა). მან 7 შესაძლებლობიდან მოიპოვა 5 ქულა, ლანას გადაეცა პირველი ხარისხის დიპლომი, ოქროს მედალი და თასი, ასევე შეასრულა მე-3 თანრიგის ნორმატივი.

მეხუთე თანრიგოსან გოგონათა შორის ტურნირის გამარჯვებული გახდა მარიამ ზაქარეიშვილი (ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლა), რომელმაც 7 შესაძლებლობიდან მოიპოვა 6 ქულა.

გამარჯვებულები დაჯილდოვა მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლის დირექტორმა ალექსანდრე არსენიძემ.

მომავალი წარმატებები ვუსურვოთ თერჯოლელ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს.

ელგუჯა გოგბერაშვილი,
სპორტსკოლის მთავარი სპეციალისტი

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მაკა ონიანს მამის
მიზდონი ონიანის
გარდაცვალების გამო.

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ზაზა გრძელიძეს მამის
გივი გრძელიძის
გარდაცვალების გამო.

გაზაფხულივით ლამაზი ვერნისაჟი...

ვერნისაჟი, რომელიც თერჯოლის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში ახლახანს, 20 მარტს, გაიმართა, ჯერ კიდევ მარტის პირველ რიცხვებში ელოდა მნახველებს, მაგრამ სოფელ საზანოში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო, რომელსაც უმშვენიერესი ახალგაზრდების და ერთ-ერთის მამა ემსხვერპლა, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი ყველა ღონისძიება მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გადაწყვეტილებით გაუქმდა ან გადაიდო.

ყოველი ახალი ვერნისაჟი ერთგვარი ახალი ზეიმია სამხატვრო სკოლაში და შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო უკეთესი, ვიდრე ყოველი წინა...

ლამაზი და მიმზიდველი გამოფენა ცხადყოფს, რომ სკოლაში მრავალი ნიჭიერი მოსწავლეა, რომელთა დაოსტატება დღითი დღე თვალსაჩინო ხდება.

ასე იყო ამჯერადაც...

ნორჩი მხატვრების ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენის გახსნას მრავალი დამთვალიერებელი დაესწრო. აქ, ავტორებთან და პედაგოგებთან ერთად, არიან მშობლები, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, აგრეთვე



საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც ინტერესით ათვალიერებენ საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილ მხატვრობის მრავალფეროვან ნიმუშებს.

თავიანთი საგაზაფხულო ემოციების, თუ გემოვნების წარმოსაჩენად გამოფენის მონაწილეებს გამოყენებული აქვთ გრაფიკის, ფერწერის, გამოყენებითი ხელოვნების, კომპოზიციის და ა.შ. ნიმუშები, ბევრ მათგანს თავიანთი დედა დაუხატავს და შეიძლება ითქვას კარგადაც შეუსრულებია. ლამაზი ფერებით სამოდელო სივრცეც შეუქმნიათ და ნამდვილად ღირს საცქერლად, ისე საოცარი ქალბატონების სილუეტები იმზირება კედლებიდან...

სკოლის დირექტორმა ქალბატონმა თამარ ღარიბაშვილმა თავისი მიმართვა შეკრებილ დამთვალიერებლებთან მადლობითა და კვლავ და კვლავ თერჯოლელ ნიჭიერ ბავშვებსა და მათთვის განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში ცოდნის მიღების შესაძლებლობით დაიწყო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ხელშეწყობა არც ერთი მუნიციპალიტეტის აღსაზრდელებს არ აქვს. მან აგრეთვე სიამაყით აღნიშნა, რომ ბოლო 35 წლის მანძილზე, სკოლამ, აქ მიღებული ცოდნით, საშუალება მისცა თერჯოლელ ახალგაზრდებს სწავლა გაეგრძელებინათ და დღეისათვის 35 არქიტექტორი, დიზაინერი თუ ციფრული მედიის წარმომადგენელი ქვეყნის მასშტაბით წარმატებულად საქმიანობს, რომ წელს 5 კურსდამთავრებული სწავლას უმაღლეს სასწავლებელში კვლავ ამ მიმართულებით გააგრძელებს... შემდეგ მან თავისთან მოიხმო გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე, რომლის არაერთი საოცრად შესრულებული ნამუშევარი ახსოვს დამთვალიერებლებს, ესაა გივი წაქაძე... „ჩინეთის კედელი“ ჰქვია ნამუშევარს, რომელიც გამოფენაზე ერთ-ერთი გამორჩეულია. ავტორს ექვსი თვე დასჭირდა მის საბოლოოდ დასრულებამდე... არაჩვეულებრივი ნამუშევარი მოსწონს დამთვალიერებლებს და დარბაზი აპლოდისმენტებით აჯილდოებს გივის, რომელსაც ქალბატონი თამარი ნიჭიერ, საუკეთესო მომავლის მქონე ხელოვნად აღიარებს... ჩუმი, წყნარი, ღიმილიანი, კარგად აღზრდილი, ყოველ ჯერზე მაოცებდა, ასეა ამჯერადაც, ამბობს სკოლის დირექტორი, ამ ნამუშევარშია ყველაფერი, სიყვარული, ნებისყოფა და ნიჭი, რომელსაც ვერ წაართმევთ და რომელიც ასე საჭირო და აუცილებელია ხელოვნების მსახურთათვის...

კიდევ ერთი საოცარი მხატვრის ნიჭით დაჯილდოებული ლამაზი გოგონა წარუდგინა დარბაზს თამარ ღარიბაშვილმა. ის სამხატვრო სკოლაში არ სწავლობს, გამოფენაზე ნამუშევარიც არ აქვს, თუმცა თვითნასწავლი მხატვარია, თვითნაბადი ნიჭის მქონე:

მარიამ ბარდაველიძე, სიმონეთში მრავალშვილინ ოჯახში მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ აღმოაჩინა და სამხატვრო სკოლის დირექტორს სთხოვა მისი ნამუშევრები ენახა და შეეფასებინა. როგორც თამარ ღარიბაშვილმა აუწყა შეკრებილთ მალე მარიამის ნამუშევრებს სამხატვრო სკოლის დარბაზში სპეციალური გამოფენა მიეძღვნება და ყველას ექნება საშუალება მისი ნახვის, მარიამი კი ამიერიდან სამხატვრო სკოლაშიც ისწავლის და ტრანსპორტირებასა და სამუშაო მასალით უზრუნველყოფაში მას დახმარებას მერია გაუწევს.

„ნიჭიერი ბავშვების ხელშეწყობა და თანადგომა, მათთვის სათანადო პირობების შექმნა, ერთ-ერთი პრიორიტეტია, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მზადაა ყველა ასეთ შემთხვევაში მათ დასახმარებლად, აღნიშნა ბატონმა მანუჩარმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა სამხატვრო სკოლის დირექტორსა და აღმზრდელ-პედაგოგებს ნაყოფიერი პროფესიული მოღვაწეობისა და ღირსეული თაობების აღზრდისათვის.

„თერჯოლას აქვს უფლება იამაყოს იმ არქიტექტორთა თუ დიზაინერთა წარმატებებით, რომლებიც დედაქალაქსა თუ სხვადასხვა რეგიონებში მოღვაწეობენ, რომელთა პროფესიულ მიმართულებას და საფუძვლებს სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი“...

მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გადაუხადა აგრეთვე აღ-

საზრდელებს, მშობლებს აღუთქვა მომავალშიც დახმარება და თანადგომა.

საგაზაფხულო გამოფენის, მასზე წარმოდგენილი სიახლეების, აგრეთვე გივი წაქაძის ნამუშევარის მაღალ დონეზე ისაუბრა გურამ თურქაძემ თავის შთაბეჭდილებაში.

თავისი მოსაზრება და სამადლობელი გამოხატა შეკრებილთა წინაშე მშობელმა, მამა ანდრია ყიფიანმა, რომლის სამი შვილი ყოველთვის სიხარულითა და სიყვარულით მონაწილეობენ სკოლის სასწავლო პროცესსა და გამოფენებში.

სამხატვრო სკოლაში ხატვის მოყვარულთა და ნიჭიერ ბავშვთა დაოსტატება უკვე წლებია ტრადიციულად გრძელდება. დირექტორის თქმით: „35 წლის წინ, როცა აქ ჩამოვედი სკოლა უკვე არსებობდა და საფუძველიც მყარად ჰქონდა, მას არაჩვეულებრივი პიროვნება ედგა სათავეში—რაინდი ამირანაშვილი, რომელიც შეიძლება ითქვას ხელოვანთა ოჯახს ეკუთვნოდა. მამა—სევერიან ამირანაშვილი ერთ-ერთი პირველი კერამიკოსი და ჩხარის იატაკის ფილების ქარხნის დამაარსებელი, ცნობილი პიროვნება იყო. რაინდის პროფესიონალიზმზე, თავდადებასა და საქმის სიყვარულზე ბევრის თქმა შეიძლება. სკოლაში ასევე თავისი საქმის სიყვარულით მუშაობდნენ შესანიშნავი პედაგოგები: რომან რიჟამაძე, ანვერ ვერულაშვილი, ნუგზარ ქოჩიაშვილი. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის, შემდეგ პედაგოგებად მოდიან უკვე ამ სკოლის აღზრდილები და ასე გრძელდება... კარგ საფუძველს კარგი გაგრძელება აქვს და ასე იქნება მომავალშიც“—აღნიშნა თამარმა.

ბუნებრივია, სამხატვრო სკოლის ყველა მოსწავლე მომავალში მხატვარი ან ამ მიმართულების სპეციალისტი ვერ იქნება, თუმცა, აქ მიღებული ცოდნა ხელოვნებისადმი დამოკიდებულება ნამდვილად დაეხმარება თითოეულს ზნეკეთილ ადამიანად ფორმირებაში, ანუ ცხოვრებისათვის მომზადება-ჩამოყალიბებასა და პროფესიულ განვითარებაში. ამ მხრივ კი ამ სკოლის კედლებში მიღებულ გაკვეთილებს ნამდვილად ვერაფერი შეედრება.

სწავლის პროცესი, რომელსაც საინტერესოდ წარმართავენ მაღალკვალიფიციური, გამოცდილი პედაგოგები, გამოფენები, დამთვალიერებელთა შეფასებები, ყურადღება, დიდი სტიმულია თითოეული მოსწავლისათვის და კიდევ უფრო ზრდის მათ პასუხისმგებლობას და მუშაობისადმი ინტერესს.

მზია ცქიფურიშვილი

P.S. ამ დღეებში სასიხარულო ინფორმაცია გავრცელდა, სკოლის დირექტორს ქალბატონ თამარს და პედაგოგებს: ეკა რიჟამაძეს, დარეჯან გოგბერაშვილს, ნინო ჩხიკვაძესა და თამთა მაჭარაშვილს პედაგოგ მხატვართა ნახატების პირველ ციფრულ გამოფენაში მონაწილეობისათვის ბავშვთა საერთაშორისო ფონდის სერთიფიკატი გადაეცათ, ვულოცავთ!

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872